# იმერეთის მხარის ლეგენდარული გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი განგაშს ტეხს!




***საქართველოს რკინიგზის გარშემო განვითარებული საგანგაშო მოვლენები, სტრატეგიული ობიექტის მილიარდიანი ვალი და პროფესიონალების ნაცვლად სპეცსამსახურების კადრებით დაკომპლექტებული სისტემა ამ უმძიმესი სურათის მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელზეც პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე, „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, იმერეთის ლეგენდარული და უშიშარი ექსგუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილი საუბრობს:***

— წინა კვირას ჩვენ მიერ საქართველოს რკინიგზის შესახებ „ასავალ-დასავალში“ გაკეთებული ვრცელი და შემაშფოთებელი განცხადებები, ასევე ის გამოხმაურებები, რომლებიც ამ ინტერვიუს მოჰყვა, კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ **რკინიგზაში აშკარად უმძიმესი და კრიტიკული მდგომარეობაა!** არსებული ვითარების უყურადღებოდ დატოვება უბრალოდ შეცდომა კი არა, პირდაპირ დანაშაულია. **ამ უმნიშვნელოვანესი სისტემის განადგურება ჯერ კიდევ ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო, შემდეგ კი „ქართულმა ოცნებამ“ ზუსტად იგივე კურსი გააგრძელა.** აღდგომის წინა დღეებია და არ მინდოდა ამ მძიმე თემაზე საუბარი, თუმცა, კომპეტენტურმა ადამიანებმა ისეთი შემაშფოთებელი ინფორმაცია მომაწოდეს, რომ გაოცებული დარჩებით. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: 599 ხორბალმზიდი ვაგონი და დამატებით 250 სხვა ვაგონი რკინიგზამ სრულიად გაუგებარი სქემით გადასცა თავის შვილობილ კომპანიას, მან კი, თავის მხრივ — ვინმე **მამუკა მერკვილაძეს.** ეს მერკვილაძე გახლავთ პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში მოსკოვში რუსეთის რკინიგზასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და სერიოზულ ფიგურასაც წარმოადგენდა, ხოლო დღეს ჩვენი რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოშია მოკალათებული. როგორც კულუარებში ამბობენ, დღეს რკინიგზაში პრაქტიკულად სწორედ **მერკვილაძე** მართავს სიტუაციას და მთელი რკინიგზა თავიდან ბოლომდე მისი კადრებითაა დაკომპლექტებული!

**— როგორც ვიცი, სუს-ის ყოფილი უფროსი და აწ უკვე პატიმარი გრიგოლ ლილუაშვილი სწორედ მამუკა მერკვილაძის ბავშვის ნათლიაა! ლილუაშვილს რომ წყალი შეუდგა, მერკვილაძესაც დაებდღვნენ... ახლა რა სიტუაციაა?**

— საერთოდ, სისტემაში ვითარება უმძიმესია და საქართველოს რკინიგზა კლანების ხელშია! აი, მაგალითად, სავაგონო დეპოდან 200 უმაღლესი დონის პროფესიონალი რკინიგზელი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სახლში გაუშვეს.

**კიდევ უფრო აბსურდულია ის ფაქტი, რომ ელექტროვაგონმატარებლები, თურმე, ჩინელებმა უნდა გაარემონტონ იმ ქვეყანაში, სადაც ისტორიულად ვაგონშემკეთებელი ქარხანა ფუნქციონირებდა და უზარმაზარი გამოცდილება არსებობდა.**

ამას ემატება ისიც, რომ **40 კაცი გაუშვეს პირდაპირ ტყიბულის უბნიდან.**

მთავარი სათქმელი მაინც სხვა რამ არის: ერთ-ერთი კომპეტენტური პიროვნების ინფორმაციით, **აკაკი ჩხაიძის მმართველობის დროს,** საქართველოში 150 წყვილი სამგზავრო მატარებელი დადიოდა, მინიმუმ, 20 ვაგონით და ამ უზარმაზარ მექანიზმს მხოლოდ 7 კაცი ხელმძღვანელობდა. დღეს კი საგანგაშო ვითარება გვაქვს — დადის მხოლოდ 8 მატარებელი, ისიც გაუმართავი, თითოეული 4 ვაგონით და ამ მცირე მეურნეობას 100-მდე ადამიანი „ხელმძღვანელობს“. უფრო მეტიც,

**საქართველოს რკინიგზაში ხელმძღვანელთა 80 პროცენტი სუს-ის ყოფილი კადრია და მათი ხელფასები 4 ათასი ლარიდან იწყება.**

რკინიგზა პირდაპირ იქცა კომფორტულ თავშესაფრად მათთვის, ვისაც პოლიციიდან, **სუს**-იდან, პროკურატურიდან თუ პარტიიდან უშვებენ. რეალურად, სისტემის სრულყოფილად სამართავად 5 ათასი კაცია საჭირო, ახლა კი იქ 13 ათასი ადამიანი მუშაობს, ანუ **ამცირებენ ნამდვილ პროფესიონალებს და ზრდიან იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც რკინიგზაში საერთოდ არ არიან საჭირო.**

**საქართველოს რკინიგზა სპეცსამსახურების სააგენტო და მათი კადრების თავშესაფარია!**

კარგად ვიცი, რას ვეწინააღმდეგები და რა საფრთხეები არსებობს, მაგრამ დღეს ქვეყანას სიცოცხლის ფასად უნდა დავუდგეთ გვერდში. 2004 წლის ჩათვლით რკინიგზა ძლიერი, მომგებიანი სტრუქტურა იყო, მას არცერთი ცენტი ვალი არ ჰქონდა და ბიუჯეტში 150 მილიონი შემოჰქონდა. დღეს კი წამგებიანია — **1 მილიარდი ლარის ოდენობის ვალი აქვს და ამ დროს ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, თითქოს რკინიგზის როლი იზრდება და მაგისტრალური ფუნქცია შეიძინეთ.** განა ეს კატასტროფა არ არის?! მე კონკრეტული გვარებიც მითხრეს, მაგრამ, რადგან აღდგომის წინა დღეებია, არ მინდა, საზოგადოება ზედმეტად შევძრა, თუმცა, გეტყვით, რომ **თქვენს გაზეთში წინა მასალის გამოქვეყნების შემდეგ უამრავი მძიმე ზარი მივიღე!**

***— გაზეთ „ასავალ-დასავალში“ არაერთი სკანდალური და მამხილებელი მასალა გამოქვეყნდა, მაგრამ პროკურატურა დუმს! რატომ?***

— იმ კრიტიკულ მასალებს, რომლებიც ახლა თქვენთან იბეჭდება, ნებისმიერ ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში რომ ენახა დღის სინათლე, პროკურატურა დაუყოვნებლივ, ზემოდან დავალების გარეშე დაიწყებდა მოკვლევას. როცა დასავლურ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, უნდა გვესმოდეს, რომ კანონის უზენაესობა დასავლურიცაა, ქართულიც და არავითარ კონფლიქტში არ შედის ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებთან. **დასავლეთში მწვავე სტატიის გამოქვეყნებისთანავე იწყება მოკვლევა. შესაბამისად, ჟურნალისტის პასუხისმგებლობაც უმაღლესია, რადგან ტყუილის დაწერის შემთხვევაში მას აუცილებლად უჩივლებენ.** ასევე უმაღლესია ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობაც. საქართველოში კორუფცია მეორე დღესვე განახევრდება, თუკი ხელისუფლება, პარლამენტი, პრემიერი ან, თუნდაც, **ბიძინა ივანიშვილი** ერთ მარტივ გადაწყვეტილებას მიიღებენ: როცა ხელისუფლების წარმომადგენელი მის წინააღმდეგ გაზეთში დაბეჭდილი ან ტელევიზიით ნაჩვენები მაკომპრომეტირებელი მასალის გამო არ იჩივლებს, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან! დღეს კი რა ხდება? **ყოველდღიურად იწერება მინისტრებზე, რომლებსაც 20-25 სახლი აქვთ, აფრიალებენ მათ უცხოურ ქონებას და რეაგი-**

## კვირგვინოსნები

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*

ეს მთავრობა რომ მოვიდა, სამი თუ ოთხი თვე შემოვრჩი ელჩად. პირველი, რა დავალებაც მომცეს, იყო ის, რომ არაფერი მეკეთებინა, გარდა ერთისა — **უნდა მევლო სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროში და მეთქვა, რომ ჩემი ქვეყანა იყო სისხლისმსმელი რეჟიმის ზემოქმედების ქვეშ და ახლა გავთავისუფლდით.**

„ახალი თაობა“

**თაზო დათუნაშვილი**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ წევრი*

სამარცხვინო კლოუნადაა, ფასების კომისიად რომ ვიცნობთ. **დახურონ და თქვან, რომ ეს იყო იდიოტიზმი — გააუქმონ დროებით საწვავზე აქციზი და დაიწყონ დენის ტარიფის სუბსიდირება ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეებისთვის!**

„ინტერპრესნიუსი“

**ვიკა ფილფანი**
*„გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრი, პარლამენტარი*

ვერ დაასახელებთ ვერაფერს, რაც **გაიაფდა,** გარდა **ნარკოტიკისა** — ხომ დაასრულა პროდუქტის ფასებზე მუშაობა კომისიამ, რა შედეგი დადეთ? ის, რომ **დღეს უფრო ძვირია ყველაფერი, ვიდრე 3 თვის წინ?**

„ინტერპრესნიუსი“

**ქეთევან ბაკარაძე**
*„გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრი, პარლამენტარი*

მოვუწოდებთ „ოცნებას“: **გაზარდეთ პენსიები 200 ლარით და დააკანონეთ, რომ საქართველოში ხელფასი არ იყოს 1150 ლარზე ნაკლები!**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

დიახ, **ჩვენ გვინდა,** გადავიბაროთ **ქვეყნის მართვა!**

„კვირის პალიტრა“



## თემურ შაშიაშვილი:

# საქართველოს რკინიგზა კლანების ხელშია!

**რკინიგზა იქცა კომფორტულ თავშესაფრად მათთვის, ვისაც პოლიციიდან, სუს-იდან, პროკურატურიდან თუ პარტიიდან უშვებენ!**

რება ნულია.

**ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ინფორმაციის 90 პროცენტი მართალია და მისი გამოკვლევა სწორედ თავად ხელისუფლებას არ აწყობს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას მუშტი კი არა, სისტემა სჭირდება!**

ეს ყველაფერი ქუთაისის მერობის დროს გამოვცადე — როცა სისტემა ისე მქონდა მოწყობილი, რომ დიდი კორუფცია გამორიცხული იყო, ამიტომ თამამად ვაძლევდი ინტერვიუებს და არ მეშინოდა. ახლა კი ხალხი ტელეფონზე საუბარსაც კი უფრთხის. მინდოდა, რამდენიმე ყოფილი ხელმძღვანელი მომეწვია, მაგრამ

**მას შემდეგ, რაც წინა ინტერვიუში საქართველოს რკინიგზაში შექმნილ მდგომარეობაზე ვისაუბრე, მეგონა, ამ ყველაფერს მოჰყვებოდა რეაქცია და მთავრობის სხდომაზე იკითხავდნენ მაინც: ასეა მდგომარეობაო? მაგრამ ხელისუფლება ჯიუტად დუმს.**

**— თქვენი აზრით, რა არის ამ დუმილის მიზეზი?**

— ხელისუფლება იმიტომ დუმს, რომ შეკრულია! საერთოდ, **აქვე კატეგორიულად მივმართავ ხელისუფლებას: დაუბრუნდით პატრიარქის ეპისტოლეებს!** როცა პატრიარქი ამბობს, რომ არ უნდა გაიყიდოს მიწა, წყალი, მდინარეები, ტყეები, რომ პორტებს სხვანაირი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება სჭირდება, ამაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ! **ვის რაში სჭირდება ეს ფარისევლობა, როცა პატრიარქის არცერთ მოწოდებას არ იცავთ და ქართულ მიწებს ყიდით?**

**ნიკო ნიკოლაძე** საქართველოს ეკონომიკის პატრიარქია, მე მასზე დიდი ევროპელი არ ვიცი. ნიკოლაძეს ევროპაში პრეზიდენტები და იმპერატორები უსმენდნენ! **მარსელ დეპრემ** ენერგიის გადაცემის სისტემები საფრანგეთის იმპერატორთან სწორედ ნიკო ნიკოლაძესთან კავშირში გადაწყვიტა. **ნიკო ნიკოლაძეს** ეკუთვნის ფრაზა — **„ქართველი ხალხის ყველაზე დიდი მეგობარი შავი ზღვაა!“** ნუ მიიღებს ხელისუფლება ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, სანამ ჰესების მიმართულებით დიდ მეცნიერულ ჯგუფს არ შევქმნით. შავ ზღვაში არამარტო გეოთერმული წყლებია, არამედ პირველად გეტყვით ახლა — ენერგიის მიღება პრაქტიკულად სხვა წყაროებიდანაც შეგვიძლია!

მეცნიერთა კონგრესში, უნიკალური პროგრამები გვაქვს. ამ დღეებში შევხვდი ბატონ **ამირან აფციაურს.** გვაქვს პროგრამები: „წყალი“, „ღვინო“, „თაფლი“ და „ხორბალი“. ბატონ **თენგიზ ჯალიაშვილთან** ერთად მომდევნო კვირას გვექნება გადაცემა სამკურნალო ღვინოზე. ჩვენ ასევე ვსაუბრობთ **რომან რურუასთან,** რომ მისი ეზო ვაქციოთ სიცოცხლის დაცვისა და გახანგრძლივების საერთაშორისო ცენტრად. ამერიკაში ჯანსაღ პროდუქტებთან დაკავშირებით ახლა სასწაულებს აკეთებს კენედი. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს ღია შეხვედრები მეცნიერებთან.

**— მეცნიერება ვის აინტერესებს? შეხედეთ პარლამენტსა და მთავრობას, წერა-კითხვის მცირედ მცოდნეთა „აკადემიაა“!**

— ახლახან გვქონდა შეხვედრა ფორმატში „პოლიტიკური დუელი“, სადაც მონაწილეობდნენ ბატონები **ალექსანდრე რუსეცკი და რამაზ საყვარელიძე,** რომელსაც პირდაპირ ვუთხარი, რომ ორგანული კანონით, მეცნიერება ხელისუფლების ოფიციალურ მრჩევლად ითვლება.

**თუ მეცნიერები იმას ურჩევენ ხელისუფლებას, რასაც ის ისედაც აკეთებს, მაშინ რად გვინდა ასეთი მეცნიერები? და თუ მეცნიერები ურჩევენ და ხელისუფლება არ აკეთებს – მაშინ რად გვინდა ასეთი ხელისუფლება?!**

როდესაც **ბიძინა ივანიშვილი** მოვიდა ხელისუფლებაში, ბატონი **სოსო ცისკარიშვილი** იყო ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი. შეხვედრაზე **ლადო პაპავამ** მიიტანა 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს გამოცდილებაზე დაფუძნებული ინიციატივა ეკონომისტთა საბჭოს შექმნის შესახებ. და იცით, ივანიშვილის პასუხი რა იყო? **„მე ეკონომისტების აზრი არ მჭირდებაო!“** ვეუბნები ყველა ექსპერტს, ვინც იქ იჯდა: მაშინვე რომ ხმა ამოგეღოთ და გეთქვათ — **„თუ ჩვენი აზრი არ გაინტერესებთ, არ გვინდა ასეთი ხელისუფალიო!“** — გარწმუნებთ, **ივანიშვილიც** შეიცვლებოდა, რომ ქვეყანაში სხვა რეალობა ყოფილიყო.

**სწორედ იმ ხალხმა დაღუპა ბიძინა ივანიშვილი, ვინც მაშინ მორჩილად გაჩუმდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერების პასუხისმგებლობა დღეს უდიდესია.**

**— როგორც ვიცი, კავკასიის ტურნეს იწყებთ და აღდგომის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მიემგზავრებით!**

— სააღდგომო დღესასწაულის შემდგომ ოთხშაბათს, ჩვენ ვიწყებთ უმნიშვნელოვანეს ტურნეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს რიგით მესამე ტურნეა — მანამდე **ერეკლე სალლიანის, ზურაბ ხონელიძისა და ვახში ჟვანიას** მონაწილეობით, წარმატებით ვიმოგზაურეთ იქ... ამჯერად ვიწყებთ ვლადიკავკაზით... მივალთ იმ სახლში, სადაც პატრიარქი დაიბადა და ეკლესიაში, სადაც ის მოინათლა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ოსებს ამ ყველაფრის შენარჩუნებისთვის, რაშიც თავის დროზე ბატონმა **გოჩა ძასოხოვმა** და ბატონმა **ვალერი გერგიევმა** სერიოზული წვლილი შეიტანეს. ცნობისათვის, პატრიარქის სახლი დიდ ბრიტანეთში მოღვაწე მეცნიერმა, დოქტორმა **ოთარ მარღანიამ** შეისყიდა და ეკლესიას გადასცა.

19 აპრილს ვიქნებით დაღესტანში, შამილის რაიონში, სადაც მე-9 საუკუნის ქართული ეკლესიაა — დათუნაა. თავის დროზე **შამილმა** გასცა ბრძანება: ამ ეკლესიას არ შეეხოთ, ქართველები ჩვენი ძმები არიანო! იქ უამრავი ქართველი მოძღვარია დაკრძალული და ამდენი წლის შემდეგ, მათ საფლავებზე წითელი კვერცხის გადაგორება და სანთლის ანთება დიდი ბედნიერება იქნება! სხვათაშორის, **ძალიან გულსატკენია, როცა 31 მარტი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმისა და პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე — წელსაც ულიმლამოდ აღინიშნა.** ჩვენ მიერ შემუშავებული ეროვნული თანხმობის პარლამენტის იდეა სწორედ 90-იანი წლების წესით არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებს!

**— საქართველოში ეროვნული თანხმობა როგორ მიიღწევა, როცა ქვეყანას ეროვნული თანხმობის დოქტრინა არა აქვს?**

— ცნობისათვის, **„მეცნიერთა კონგრესს“ აქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა, რომელიც 7-8 წლის წინ გადავეცით ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლება ისევ დუმს!** გუშინწინ იტალიის პრემიერ-მინისტრმა **ჯორჯა მელონიმ** დეკრეტით დაამტკიცა იტალიის ეროვნული სახელმწიფოებრივი დოქტრინა და ევროკავშირს არაერთ საკითხში შეეკამათა. ევროკავშირი რომ დასცილდა ტრადიციულ ევროპულ ღირებულებებს, ეს პატრიარქმა ჯერ კიდევ 20 წლის წინ თქვა. საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ტრადიციებს დაუბრუნდა, მაგრამ, როცა მიწასა და ტყეს ყიდი, ეს სადაური ტრადიციაა? ჩინეთთან ხელშეკრულებაში ჩვენ ვაღიარებთ მათ ტერიტორიულ მთლიანობას, ისინი კი ჩვენსას — არა! ჩვენს თორმეტპუნქტიან დოქტრინაში, რომლის სათავეებთანაც იდგნენ **მერაბ ბერძენიშვილი, არნოლდ გეგეჭკორი და გიგა ბათიაშვილი,** პირდაპირ წერია: **საქართველო ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომლებიც აღიარებენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. ეს პუნქტი ხელისუფლებას არ აწყობს!** დღეს არ მეგულება ადამიანი ხელისუფლებაში, რომლის ადგილზეც სხვა, კომპეტენტური პირი, უკეთესად არ შეასრულებდა საქმეს.

აი, მაგალითად, პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო დიპლომატია და მშვიდობის დოქტრინა ევროპის აკადემიამ მიიღო, ჩვენმა პარლამენტმა კი არაფერი იცის ამის შესახებ. ასე რომ, ქვეყნის სათავეში სწორედ ასეთი ხალხი უნდა მოვიდეს.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები



**ბერდია სიჭინავა**
*გიორგი გახარიას ადვოკატი*

**ჩვენი მიზანი არ არის ცვლილებები რევოლუციური გზით.**

„კვირის პალიტრა“



**მიშა ფარულავა**
*დეპუტატი პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“*

**თითოეული თქვენგანი,** ვინც ამ პარლამენტის დარბაზში მოხვდით **„ოცნების“ საარჩევნო სიით,** პირადად ხართ პასუხისმგებელი ამ საბედისწერო ჩიხში ქვეყნის შეყვანაზეც.

„აიპრესი“



**ნინო ჯანგირაშვილი**
*მედიამენეჯერი*

**ცოტა ძაან ყელში ამოხვედით, ქოცებო!**

„ახალი თაობა“



**ბესო დონაძე**
*„ლელო“ ცვლილებებისთვის*

**ჩინოვნიკები, პირდაპირი მნიშვნელობით, ჭამენ ბიუჯეტს.** დაბალი ფასის ავტომობილებზე უნდა გადავიდნენ. არ არის აუცილებელი, **ეკონომიკის მინისტრი ქვრივიშვილი ლაქშერის კლასის ავტომობილით დადიოდეს.** რატომ არ შეიძლება **უფრო ეკონომიური ავტომობილით** გადაადგილდებოდეს, მაგალითად, **„ტოიოტა პრიუსით“.**

„ახალი თაობა“



**ირაკლი კუპრაძე**
*პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივანი*

**ხელისუფლებასთან დიალოგი აუცილებელია!** დიახ, არსებობს ქართული და ანტიქართული პოლიტიკური ზრახვები და პოლიტიკოსები. **„ქართული ოცნება“ ამ ვითარებაში ანტიქართული ძალაა.**

„კვირის პალიტრა“